პირველი ლიმიტირებული გამოცემა-ფაქსიმილე

მ ს ო ფ ლ ი ო ს  ბ ო ლ ო  ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი  დ ა
ი ლ უ ს ტ რ ი რ ე ბ უ ლ ი

# იოანესა და მარკოზის სახარებები

*მხატვარი ირაკლი ფარჯიანი*

*@smartinnovations 2022*





თავდაპირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღვთის თანა,
და ღმერთი იყო სიტყვა იგი.
2 იგი იყო პირველითგან ღვთის თანა.
3 ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი
რა იქმნა, რაოდენი იქმნა.
4 მის თანა ცხოვრება იყო, და ცხოვრება იგი იყო ნათელი კაცთა.
5 და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.
6 იყო კაცი მოვლინებული ღვთის მიერ, და სახელი მისი იოანე.
7 ესე მოვიდა მოწამედ, რათა სწამოს ნათლისა მისთვის, რათა ყოველთა
ირწმუნონ მისგან.
8 არა თუ იგი იყო ნათელი, არამედ რათა სწამოს ნათლისა მისთვის.
9 იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცს, მომავ-
ალს სოფლად.
10 სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი
ვერ იცნა.
11 თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არა შეიწყნარეს.
12 ხოლო რაოდენთა იგი შეიწყნარეს, მისცა მათ ხელმწიფება შვილ ღვთის
ყოფად, რომელთა ირწმუნეს სახელი მისი,
13 რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა ხორციელთა, არცა ნებითა
მამა-კაცისათა, არამედ ღვთისაგან იშვნეს.
14 და სიტყვა იგი ხორციელ იქმნა, და დაემკვიდრა ჩვენ შორის, და
ვიხილეთ დიდება მისი, დიდება, ვითარცა მხოლოდ-შობილისა მამისა მიერ,
სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა.
15 იოანე სწამა მისთვის, ღაღად-ყო და სთქვა: ესე არს, რომლისათვის
იგი ვთქვი, რომელი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო,
რამეთუ პირველ ჩემსა არს.
16 და, სავსებისაგან მისისა ჩვენ ყოველთა მოვიღეთ, და მადლი მადლისა წილ.
17 რამეთუ სჯული მოსესაგან მოეცა; ხოლო მადლი და ჭეშმარიტება
ქრისტე იესოს მიერ იქმნა.
18 ღმერთი არავინ სად იხილა; მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო
წიაღთა მამისთა, მან გვითხრა.
19 და ესე არს წამება იოანესი, ოდეს მოავლინნეს მის წინაშე იერუსალ-
ემით მღვდელნი და ლევიტელნი, რათა ჰკითხონ მას, ვითარმედ შენ ვინ
ხარ?
20 და აღიარა, და არა უარ-ჰყო, აღიარა, ვითარმედ მე არა ვარ ქრისტე.



# ისტორია

## 1978 -1979

*1978 წელს, როდესაც რელიგია ჯერ კიდევ იდეოლოგიური აკრძალვისა და დევნის საგანი იყო, ირაკლი ფარჯიანმა სახარების გადაწერა და ილუსტრირება დაიწყო.*





# ისტორია

1978 წელს, 28 წლის ასაკში, იმ დროს, როცა რელიგია იდეოლოგიური აკრძალვის და დევნის საგანია, ირაკლი ფარჯიანი სახარებების გადაწერას და ილუსტრირებას იწყებს. ერთი წელი ხელნაწერთა ინსტიტუტში საგანგებოდ სწავლობს კალიგრაფიას და ძველ ხელნაწერებს, შემდგომ კი ორი წელი განუწყვეტლივ მუშაობს ამ თემაზე. იოანეს და მარკოზის სახარებებს გადაწერს მთლიანად და ასურათებს მათ; მარკოზს აკინძული სახით ტოვებს, იოანეს - აუკინძავი სახით; მოგვიანებით, ლუკას სახარებისთვის მხოლოდ რამდენიმე ილუსტრაციას ქმნის. შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნების მსგავსად შესრულებული სახარების ფარჯიანისეული ვერსია წარმოადგენს მთლიან, დასრულებულ ხელნაწერ ტექსტს, რომელიც გაფორმებულია მინიატურებით, თავსართებისა და ბოლოსართების დეკორით და ერთდროულად ტრადიციულიცაა და ნოვატორულიც. ტექსტი კრიალოსანივით არის აწყობილი. მის შესრულებაში ისეთი გულმოდგინეობა იგრძნობა, თითქოს ამ ტექსტით ლოცულობს წერის პროცესში. იოანეს სახარების ტექსტში ძვირფასი თვლების ელვარებით ბრწყინავს ლალისფერი, ქარვისფერი, ზურმუხტისფერი, ფირუზისფერი, ლაჟვარდისფერი მინიატურები და ცალკეული გამოსახულებები - მიმობნეული სტრიქონების მწყობრ სტრუქტურაში. წიგნი მთლიანად აყვავებული მცენარის ილუზიას ქმნის, სადაც ტექსტი თითქოს ამ მცენარის ღეროებია, რტოებია, ორნამენტივით ჩახლართული ფესვებია; ხოლო ფურცელზე გაფანტული მინიატურები - გაშლილი ყვავილები და ნაყოფებია, მათში განფენილი ენერგიით რომ პულსირებენ.

ფარჯიანის „სახარებები“ შუა საუკუნეების სურნელით სუნთქავს და, ამავდროულად, თანამედროვე კულტურის ნიშნებს ატარებს. აქ თანაარსებობს ხელნაწერი რელიგიური წიგნის კანონიკური იკონოგრაფია და მხატვრის საავტორო ინტერპრეტაცია. საოცარია, რომ საბჭოთა საქართველოში იქმნება სახარების უნიკალური ვერსია, რომლის ანალოგიც დღემდე არ არსებობს. ფარჯიანი შუა საუკუნეების სახარების გადამწერთა მსგავსად მოქმედებს - შესაძლოა, მისი წინაპრების, რადგან სვანეთში გადამწერთა სკოლა არსებობდა. შუა საუკუნეების შემდეგ, ეს არის სახარების გადაწერის და ილუსტრირების ერთადერთი ფაქტი ქართულ მხატვრობაში. ეს მოვლენა მით უფრო საყურადღებოა, თუ გავიხსენებთ, რომ სახარებაზე მუშაობის პროცესი საბჭოთა სინამდვილეში სახიფათო იყო მხატვრისთვის, ასეთი წიგნის პრეზენტაცია კი - სრულიად წარმოუდგენელი.

სახარების ილუსტრაციებით იწყებს და „ბერლინის ციკლით“ ასრულებს ფარჯიანი თავის შემოქმედებას და მათ შუალედში - მინიატურებიდან მონუმენტურ ფერწერამდე - ქმნის მრავალფეროვნებას, რომელიც ამ ორი ციკლის იდეებს, მოტივებს, კონცეფციას მოიცავს და რაც მხატვარს მისეული მეთოდით, ცოდნითა და ოსტატობით სრულყოფილებამდე მიჰყავს.

სიზმრისეული. ქართულ ხელოვნებაში მის სახელს უკავშირდება რელიგიური მხატვრობის რეაბილიტაცია და ტრანსფორმაცია. ფარჯიანის მხატვრობის ყველა მოტივი, თემა, პერსონაჟი თუ სიმბოლოთა სისტემა, საბოლოოდ, რელიგიურ მხატვრობაში იყრის თავს და ეს მიმართულება მისი შემოქმედების საავტორო მოდელს ქმნის. ის არის განსაცვიფრებელი ფიგურა ქართულ ხელოვნებაში - ტრადიციული და თანამედროვე კულტურის სისტემების გამაერთიანებელი, სამყაროს შესახებ ფარული ცოდნის მატარებელი, მეტაფიზიკურ ლანდშაფტებში მოგზაური, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული თემის, სიმბოლოების და სიზმრების ინტერპრეტატორი, სინათლის მხატვარი. საქართველოში, მე-20 საუკუნის დასასრულის საზარელ რეალობაში, მან შეძლო შეექმნა სამყარო, განმსჭვალული ფარული ტრაგიზმით, მისტიციზმით, ამაოების გარდაუვალობით და, ამავე დროს, სიცოცხლის სადღესასწაულო პრეზენტაციით, სინათლის და მშვენიერების იმ კატეგორიებით, რომელიც მარადიულ ფასეულობებს უკავშირდება. და, რაც მთავარია, მან თავისი შემოქმედებით შეძლო, დავერწმუნებინეთ მათ უპირატესობაში.

ბაია წიქორიძე

# პირველი ლიმიტირებული გამოცემა-ფაქსიმილე

## მსოფლიოს უნიკალური წიგნები

ლიმიტირებული საკოლექციო გამოცემა

ტყავის გარეკანი და სპეციალურად შექმნილი ყუთი თითოეული სახარებისთვის

ოქროსა და ვერცხლის ჩანართები ყოველ ეგზემპლარში

აღნიშნული ფაქსიმილე უნიკალური, ორგანზომილებიანი ორიგინალის ეფექტური ტექნიკურ-მექანიკური რეპროდუქციაა, ანუ დედნის ასლია და არა ხელნაწერი. წიგნებს შენარჩუნებული აქვთ ორიგინალის შიდა და გარე მახასიათებლები. ბეჭდვა განხორციელდა ყველა უახლესი ტექნიკური საშუალებით, რამაც უზრუნველყო ორიგინალთან ფაქსიმილეს მაქსიმალური სიახლოვე და ამავდროულად მისი ხელმისაწვდომობა. ამგვარად ფაქსიმილე ნებისმიერ შემეცნებით თუ მხატვრულ ინტერესებსა და მოთხოვნებს შეესატყვისება და აკმაყოფილებს. ამდენად ის ამ უნიკალური წიგნების გაცნობის შესაძლებლობას აძლევს ბიბლიოგრაფებსა და ბიბლიოფილებს და შემეცნებითი თუ მხატვრული თვალსაზრისით ის უაღრესად ღირებული შენაძენია მსოფლიო კულტურისათვის.



# იოანეს სახარება
1978

35 x 42  შერეული ტექნიკა 1978







# მარკოზის სახარება

1979



19 x 25,5  შერეული ტექნიკა 1979

# გალერეა



# მარკოზის სახარება

*1979*





# მარკოზის სახარება

*Prayer on the mountain*

# მარკოზის სახარება

სახარება შესრულებულია შუა საუკუნეების ხელნაწერების მსგავსად



ფერისცვალება



ნათლობა





# იოანეს სახარება

1978

# იოანეს სახარება

ს ა ხ ა რ ე ბ ა   შ ე ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი ა   შ უ ა   ს ა უ კ უ ნ ე ე ბ ი ს
ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი ს   მ ს გ ა ვ ს ა დ







# იოანეს სახარება







# “ფაქსიმილე გამოცემა”

## *შექმნის პროცესი*

თანამედროვე შედევრის რეპროდუქცია

პრეზენტაცია გადმოსცემს იდეას შედევრალური ხელნაწერი წიგნის მხატვრობის რეპროდუცირების შესახებ, რომელიც შეიქმნა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი ქართველი მხატვრის, ირაკლი ფარჯიანის მიერ. ხელნაწერი წიგნები წარმოადგენს მხატვრის მიერ უნიკალური და ინდივიდუალური სტილით ილუსტრირებულ სახარებებს და მე-20 საუკუნის საქართველოში თანამედროვე ხელოვნების განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. ჩვენი მიზანია ავტორისეული ხელნაწერებისადმი მაქსიმალური ერთგულებით მოვახდინოთ მათი რეპროდუცირება, რაც ხელს შეუწყობს ამ უნიკალური შემოქმედების გავრცელებას. ეს არის სახვითი ხელოვნების ნიმუშთა ექსკლუზიური სახით აკინძული ფაქსიმილური გამოცემა.

Müller & Schindler



*სახარების ხელნაწერების ერთგული რეპროდუქცია, როგორც სრულყოფილი ფაქსიმილური გამოცემა*



Müller und Schindler
Art & Quality are our passion
Kunst & Qualität sind unsere Leidenschaft

*სახვითი ხელოვნების ფაქსიმილური გამოცემები, როგორც ორიგინალური ასლები. სულისშემძვრელი , სამაგიდო ხელოვნების ნიმუშები.*

## LA BIBLIOTHÈQUE IMAGINAIRE

ჩვენი უპირველესი მიზანია სახვითი ხელოვნების ნიმუშთა ფაქსიმილური გამოცემების სახით შევინარჩუნოთ ყველა დროისა და კულტურის შედევრები. ხელთსაქმობის ოსტატთა მრავალსაუკუნოვან გამოცდილებასთან უახლესი ტექნოლოგიური საშუალებების შერწყმით, ჩვენ ერთგულად ვახდენთ ამ ხელნაწერების სრულ რეპროდუცირებას უმცირესი დეტალების გათვალისწინებით. დიდებულად მოელვარე ფერები, უახლესი ტექნიკური მეთოდებით პერგამენტსა თუ ქაღალდზე დატანილი მბრწყინავი ოქრო და ვერცხლი ორიგინალის ყველა მახასიათებელს ინარჩუნებს. ყოველი გვერდის ჭრა ზედმიწევნით იმეორებს ორიგინალს. თუმცა აუცილებელია გამოცემულ ვერსიაში ასევე შევინარჩუნოთ ორიგინალის პერგამენტსა თუ ქაღალდზე არსებული ნაჩვრეტები, აქერცლილი ფრაგმენტები და მინაწერები, ანუ ყველა ის ხარვეზი, რომლებიც ხელნაწერთა ცოცხალი ისტორიის ნაწილად გვევლინება. მხოლოდ ყოველივე ამის გათვალისწინებით - ავთენტურის ყველა ასპექტის რეპროდუცირებით - შეძლებს ფაქსიმილური გამოცემა საგამოფენო ექსპონატისა თუ ექსკლუზიური საჩუქრის სახით ჩაენაცვლოს ხელნაწერის დიდებულ ორიგინალს. ჩვენი გუნდი მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ექსპერტებისგან შედგება, რომლებიც უნიკალური ორიგინალების სრულყოფილი რეპროდუცირების გზას ნაბიჯ-ნაბიჯ, რუდუნებით მიუყვებიან.



## უმაღლესი შედეგისათვის აუცილებელი კომპონენტები

### *ოსტატობა, საუკეთესო მასალები და დრო*

უმაღლესი ხარისხის გამოცემებს უზრუნველყოფს მაღალ კვალიფიციურ, გამორჩეულ ექსპერტთა გუნდი. ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის მასალებს, რაც მაქსიმალურად შეესატყვისება წიგნის შინაარსს და ასევე ავტორისეულ ჩანაფიქრს, რომელსაც პატივისცემით ვეკიდებით, ვინაიდან მან შექმნა უნიკალური შედევრები თავისი შთამბეჭდავი ხელოვნებითა და ძვირფასი მასალებით.

დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს - ამიტომ წიგნების გამოცემასთან დაკავშირებული ჩვენი პროექტები, როგორც წესი, ერთ წელზე მეტხანს გრძელდება. დიდ დროს მოითხოვს და შრომატევადია ბეჭდვისწინა საფეხური, ორიგინალთან შედარების მიზნით მივლინებები, სასინჯი ეგზემპლარების ბეჭდვა და ნიუანსობრივი აცდენების გასწორება. მეტალო-აპლიკაციის მეთოდი უაღრესად ფაქიზ მიდგომას მოითხოვს სამუშაო პროცესისადმი: წიგნის თითოეული გვერდის ინდივიდუალური დამზადება, ყოველი ტომის აკინძვა და ბოლოს მათთვის გამიზნული ხელნაკეთი ყუთების დამზადება მრავალსაუკუნოვანი ხელთსაქმობის ტრადიციის შესაბამისად (რაც განსაკუთრებით დიდ დროს მოითხოვს).

სამუშაოს შესრულების ყოველი ეს ეტაპი გვაძლევს საშუალებას მივაღწიოთ კომპლექსურ მიზანს, რომელიც დავისახეთ ჩვენს კომპანიებში გამოქვეყნებული თითოეული გამოცემისთვის: ხელახლა შევქმნათ უნიკალური, ტექნიკურად სრულყოფილი შედევრი, თუმცა ამავდროულად შევინარჩუნოთ ორიგინალის შექმნის დროინდელი იდეა, ხედვა და ატმოსფერო, შევიცნოთ და განვიცადოთ კულტურული გამოცდილება და ნამუშევრის მიღმა არსებული ისტორიები.

# როგორ მზადდება სახვითი ხელოვნების ნიმუშთა ფაქსიმილური გამოცემა

დიგიტალიზაცია:
მეტწილად მაღალი რეზოლუციის სპეციალური კამერით ხორციელდება (50 მეგაპიქსელი). ძვირფასი ხელნაწერის ორიგინალი დაცულია სპეციალურად შექმნილი ხელნაკეთი ჩარჩოთი, რომელიც ყოველი ცალკეული გვერდის დიგიტალიზაციის საშუალებას იძლევა, რაც ორიგინალს მაქსიმალურად იცავს დაზიანებისაგან; გამოიყენება მხოლოდ ცივი შუქი (2700 ლუქსი). სათანადო გადასაღები გარემოსა და აპარატურის დამონტაჟებას ერთი სრული დღე მაინც სჭირდება, რადგან განათება ძალზე დელიკატურია, ხოლო რეპროდუქციის საბოლოო ხარისხი უკვე დიგიტალიზაციით არის განსაზღვრული. ორიგინალის ყველა დეტალის შესანარჩუნებლად საჭიროა მრავალჯერადი გადაღება.

წინასწარი ბეჭდვის პროცესი:
შემდგომში დეტალების ხანგრძლივი დამუშავების პროცესი მიმდინარეობს, რაც დღეებსა და კვირეებსაც შეიძლება ითვლიდეს. ყოველი გვერდი უნდა გადამოწმდეს, შესწორდეს და ბეჭდვისათვის მომზადდეს. ორიგინალური ფერები ხელით სწორდება, ვინაიდან მათი ავტომატური რეპროდუცირება შეუძლებელია. განსაკუთრებულ ამოცანად გვევლინება ისეთი მეტალების-როგორებიცაა ოქრო ან ვერცხლი-ფერთა მომზადება. თითოეული მათგანისთვის იქმნება ცალკე ფენები. ოქროს ან ვერცხლის ყოველი ფრაგმენტი ხელით უნდა დამუშავდეს და რედაქტირდეს.

სასინჯი ეგზემპლარის ბეჭდვა შედარებისთვის:
ოპტიმალური შედეგის უზრუნველსაყოფად, თავდაპირველად სასინჯი ეგზემპლარი მზადდება, შემდეგ კი ხორციელდება მისი სკრუპულოზური შედარება ორიგინალთან. ფერთა შორის სულ მცირე ნიუანსობრივი განსხვავების შემთხვევაშიც კი, ვახდენთ დეტალურ შესწორებას ფაილებში. ეს პროცედურა მეორდება მანამ, სანამ შედეგი ნაბეჭდი მასალის უმაღლეს ხარისხთან დაკავშირებულ ჩვენეულ მკაცრ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს. დედნისა და ასლის შედარება ხორციელდება მანამდე, სანამ ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებულ ნაბეჭდ პროდუქციას არ მივიღებთ.

ბეჭდვის პროცესი:
თავად ბეჭდვის პროცესი, როგორც წესი, ძალიან შრომატევადი არ არის , რაც მხოლოდ ხელნაწერის მოცულობაზეა დამოკიდებული. ჩვენ, ყოველ ფურცელზე, ყოველ დეტალს მუდმივად ვამოწმებთ მთელი პროცესის განმავლობაში. ორიგინალის ფერებთან ადეკვატურობისა და შეტანილი შესწორებების მეთვალყურეობა მინდობილი აქვს საგანგებოდ ამ საკითხზე მიმაგრებულ პირს.

ოქროსა და ვერცხლის მიმაგრება:
ორიგინალის მახასიათებლებიდან გამომდინარე, გამოიყენება შესაბამისი ტექნიკა და მასალები - ოქროსა და ვერცხლის ფოლგებიდან ან მეტალის მტვრიდან 23K ნამდვილ ოქრომდე. საბოლოოდ აუცილებელია სტრუქტურის ხელახალი შექმნა, ამოტვიფრა ან პატინა.

აკინძვა- მრავალსაუკუნოვანი ხელობის გამოცდილება :
ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ხელნაწერის ორიგინალური აკინძვის რეპროდუცირებას. მაგრამ ზოგჯერ, წიგნის ავთენტური აკინძვის სახე იკარგება და მაშინ ჩვენ მოვიძიებთ შესაბამისი პერიოდისა და კულტურის ადეკვატურ აკინძვის ნიმუშს . მასალას ორიგინალის მახასიათებლების შესაბამისად ვირჩევთ.










Müller &
Schindler

# სახარების ხელნაწერთა ორი განსხვავებული წიგნის რეპროდუქცია

ექსკლუზიური საკოლექციო შეზღუდული გამოცემა
100 პასპორტირებული და ხელით დანომრილი ეგზემპლარი

## იოანეს სახარება

ფორმატი: 35 x 42 სმ პორტრეტი
მოცულობა: 130 გვერდი
ბეჭდვა: 4 ფერიანი დაფერვა ყველა გვერდზე, ოქროთი და ვერცხლით ექსტრა ბეჭდვა
ქაღალდიr: 70g Freelife Cento Extra White

აკინძვის მომზადება: შეკვრა, დაკეცვა, სწორი ჭრა. მიკერება. სამმხრივი მოვერცხლილი წიგნის ბლოკი. 2 დამატებითი სურათი ოქროს ფოლგა/ფურცელი ჩაკრული პირველ და ბოლო გვერდებზე. ასევე ბოლო გვერდზე დატანილი კოლოფონი QR- ით და ჩიპით.

აკინძვა: აკინძულია თეთრი ტყავით, ვერცხლისფერი და ბბბბბ ტვიფრი on U1, ყუა(blind) და U4(blind). წიგნის ყდის კუთხეების მოჭედილობა, მეტალის 1 შესაკრავი ( ვერცხლისფერი სპილენძი).
ყუთი: ყდა, მასალა თეთრი PU. ვერცხლის და blind ტვიფრი გარეკანზე, ყუასა და უკანა ყდაზე. ნაჭრის შიდა ფურცელზე ნაცრისფერი ტვიფრი.მზა ფაქსიმილე.
ტირაჟი: ელით დანომრილი 100 ეგზემპლარი

## მარკოზის სახარება

ფორმატი: 19,5 x 25,5 სმ პორტრეტი
მოცულობა: 166 გვერდი
ბეჭდვა: 4 ფერიანი დაფერვა ყველა გვერდზე, ოქროთი და ვერცხლით ექსტრა ბეჭდვა
ქაღალდიr: 170g Freelife Cento Extra White

აკინძვის მომზადება: შეკვრა, დაკეცვა, სწორი ჭრა. მიკერება. სამმხრივი მოოქრვოვილი წიგნის ბლოკი . ბოლო გვერდზე დატანილი კოლოფონი QR- ით და ჩიპით.

აკინძვა: სპეციალური ორფერი ქსოვილი შავი/მწვანე ნაჭერი, ოქროს ტვიფრი U1. Recess for vignette, paste down vignette. წიგნის ყდის კუთხეებზე სპილენძის მოჭედილობა.
ყუთი: ყდა, მასალა კრემისფერი PU თერმოაქტიური. ოქროს and blind ტვიფრი გარეკანზე, ყუასა და უკანა ყდაზე. ნაჭრის შიდა ფურცელზე ყავისფერი ამოტვიფრა. მზა ფაქსიმილე.
ტირაჟი: ხელით დანომრილი 100 ეგზემპლარი

# ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა ო რ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი წ ი გ ნ ი ს რ ე პ რ ო დ უ ქ ც ი ა

## პირველი ლიმიტირებული საკოლექციო გამოცემა (ტირაჟი 900)

### იოანეს სახარება

ფორმატი: 35 x 42 სმ პორტრეტი
მოცულობა: 130 გვერდი
ბეჭდვა: 4 ფერიანი დაფერვა ყველა გვერდზე, ოქროთი და ვერცხლით ბეჭდვა
ქაღალდი: 70g Freelife Cento Extra White

აკინძვის მომზადება: შეკვრა, დაკეცვა, სწორი ჭრა. მიკერება. სამმხრივი მოვერცხლილი წიგნის ბლოკი

აკინძვა: PU თეთრი მასალა, ვერცხლისფერი ტვიფრი, და blind on U1, ყუა და U4.

შალითა: ყდა PU ან ქსოვილი. ვერცხლის და blind ტვიფრი გარეკანზე, ყუასა და უკანა ყდაზე. მზა ფაქსიმილე.

ტირაჟი: 900 ეგზემპლარი

### მარკოზის სახარება

ფორმატი: 19,5 x 25,5 სმ პორტრეტი
მოცულობა: 166 გვერდი
ბეჭდვა: 4 ფერიანი დაფერვა ყველა გვერდზე, ოქროთი და ვერცხლით ბეჭდვა
ქაღალდი: 170g Freelife Cento Extra White

აკინძვის მომზადება: შეკვრა, დაკეცვა, სწორი ჭრა. მიკერება. სამმხრივი მოოქრვოვილი წიგნის ბლოკი

აკინძვა: PU მუქი ყავისფერი/მწვანე ტვიფრი ოქროში.

შალითა: ყდა PU ან ქსოვილი. ოქროს blind ტვიფრი გარეკანზე, ყუასა და უკანა ყდაზე.

ტირაჟი: 900 ეგზემპლარი

*Smart innovations LTD*

## დამატებითი ინფორმაცია



ფასი



მიწოდება



ავთენტურობის სერთიფიკატი

S M T I N N O V A T I O N S . C O M

INFO@SMTINNOVATIONS.COM

დამატებითი ინფორმაცია
სახარებების შესახებ
იხილეთ ბმულზე

www.irakliparjiani.com

SMART INNOVATIONS

*@Smartinnovations 2022*